ეროვნული ბიბლიოთეკა

- ვ. ლისიცკი — თასის მფლობელი
- უკანასკნელი ბასტიონიც აღებულია!
- რ. ბოსტონს ღალატობს... ქარი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 132 (2495) ◉ სამშაბათი, 7 ივლისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

დღეს თბილისის იპოდროგზე

არმიის, ავიაციის და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი ატარებენ

დიდ საავიაციო-სპორტულ დღესასწაულს

დასაწყისი 18 ს. 30 წ. 5 ივლისისათვის შეძენილი ბილეთები ძალაშია.

შევიჯანოთ წვლილი!

ახლოვდება ოლიმპიური სპორტული ლატარიის რეალიზაციის პირველი დღე — 15 ივლისი! ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული კოლექტივები და ორგანიზაციები, საქართველოს ყოველი ფიზკულტურელი და სპორტსმენი მოუთმენლად მოელიან ამ დღეს, რათა თავიანთი პატრიოტული წვლილი შეიტანონ ჩვენი ოლიმპიური ლატარიის წარმატებით ჩატარებაში. მათ კარგად იციან, რომ ლატარიის ბილეთების გავრცელებით დაგროვილი თანხები ახალ, მძლავრ ბიძგს მისცემს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობას.

წლევანდელი წელი — ოლიმპიურია! და როგორც ყოველი ოლიმპიური წელიწადი, თავისი შინაარსით 1964-იც აიღებს უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ჩვენი სამამულო სპორტის განვითარების დონეს. მიმდინარე ოლიმპიური სეზონის მრავალფეროვან ღონისძიებებს ფიზიკური კულტურის ახალი აღმასვლის ეს უაღრესად სასარგებლო და საინტერესო საშუალებაც შეეძატა — ფულისა და ნივთების მოგებათა ოლიმპიური სპორტული ლატარია! ეჭვს გარეშეა, რომ იგი ჩვენს საზოგადოებრიობაში მეტად დიდ პოპულარობას ჰპოვებს.

საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ფიზკულტურული არმია მუდამ იყვნენ და არიან საბჭოთა სპორტის ავანგარდში. და, რა თქმა უნდა, ისინი ამ საახელოვნან ტრადიციას ოლიმპიური ლატარიის გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეშიც არ უღალატებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში უნდა გავრცელდეს ოლიმპიური ლატარიის 1.260.000 ბილეთი! კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ლატარიის რეალიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა საქართველოში. კერძოდ, ლატარიის გავრცელების შედეგად შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება ბაკურიანში 90-მეტრიანი ტრამპლინისა და ახალი საბაგირო გზის, ხოლო ლესელიძეში — სპორტსმენთა პანსიონატისა და სპორტბაზების მშენებლობას.

ძვირფასო მკითხველო! რა არის იმაზე კარგი, შენი პირადი წვლილი შეიტანო საბჭოთა სპორტის შემდგომ განვითარებაში! მაშ, ნუ დაკარგავ ამ შესანიშნავ საშუალებას! ყოველი ფიზკულტურელის, ყოველი სპორტსმენის ვალია გახდეს ოლიმპიური ლატარიის აქტიური მონაწილე. ჩვენი ლატარია, — ეს ხომ ახალი სტადიონები და დარბაზებია, ახალი სასწავლო-საწვრთნელი მოედნები და სხვა სპორტული ბაზებია!

ოლიმპიური სიმაღლის ნიშნით

საკავშირო ასპარეზობა სპორტულ ტანვარჯიშში

მოსკოვი, 6 ივლისი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). საზეიმო ვითარებაში აღიმართა აქ. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში, სსრ კავშირის თასისა (მრავალჭიდში) და ჩემპიონატის (ცალკეულ სახეობებში) გათამაშების ალამი სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში ჩაება ჩვენი ქვეყნის 40-40 უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალი და ვაჟი. განსაკუთრებული ინტერესი, რომლითაც სარგებლობს აღნიშნული შეჯიბრება, გამოწვეულია იმით, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა ტანვარჯიშის ძალთა საბრძოლო, გენერალურ დათვალიერებას ტოკიოს ბატალიების წინ.

რა ტიტულს არ წააწყდებით აქ, მონაწილეთა შორის! ტანვარჯიშულ იარაღებთან მიდიან სსრ კავშირის, მსოფლიოსა თუ ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, ს. მურატოვა, თ. მანინა, მ. ნიკოლაევა, ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, პ. სტოლბოვი, თ. ზამოტაილოვა (არ დაიბნეთ, ეს იგივე თამარ ლიუბინაა, ოღონდ მეუღლის გვარით!), ი. პერვუშინა, ე. ვოლჩეკაია, ვ. კერდემელიდი, ვ. ლისიცკი, ვ. ლეონტიევი, ი. ცაპენკო, ე. გრომოვი და სხვანი. საქართველოს ამ შეჯიბრებაზე წარმოადგენს 4 სპორტსმენი: მ. ნინოშვილი, ა. ჯანუყაშვილი, ნ. მაკალათია და მ. ბოგუსი. არის კიდევ ერთი „წარმომადგენლობა", ასე ვთქვათ, საერთაშორისო: მოსკოვში სტუმრად იმყოფებიან კუბელი ტანმოვარჯიშეები, რომლებიც თავიანთი საბჭოთა კოლეგების მხარდამხარ ცდიან ძალებს.

ასპარეზობა ტარდება ოლიმპიური პროგრამითა (სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშები) და საერთაშორისო წესებით. ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონთა ტიტულის მოსაპოვებელ ბრძოლაში დაიშვება 6-6 სპორტსმენი, რომლებიც საუკეთესო ქულათა ჯამს დააგროვებენ მოცემულ იარაღზე სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შედეგად. ფინალში ეს სპორტსმენები შეასრულებენ თავიანთივე ნებისმიერ, ოღონდ გართულებულ, ვარჯიშებს.

დღეისათვის ტანმოვარჯიშეებმა დაამთავრეს სავალდებულო პროგრამა. ვაჟთა შორის ასპარეზობას სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ჩემპიონი ი. ტიტოვი—58,1 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე მიდიან ვ. ლისიცკი — 57,95 და ვ. ლეონტიევი—57,8. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ჯერჯერობით „ფორტუნა" მაინცდამაინც არ წყალობთ. ნ. მაკალათია, რომლისგანაც გაცილებით მეტს მოველოდით, 56,25 ქულით მე-16 ადგილზეა, ხოლო მ. ბოგუსი მას 1 ადგილითა და 0,1 ქულით ჩამორჩება.

განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს ბრძოლა ქალთა შორის. აქ წარმატებასა თუ წარუმატებლობას უკვე არა მეათედი, არამედ მეასედი ქულები წყვეტს. ვაჟებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად პირველ ცდაზევე ამთავრებდნენ „დავას" იარაღებთან, აქ ერთობ ხშირია ვარჯიშის მეორედ შესრულების მოთხოვნა. და კიდევ ერთი „დეტალი", რომელიც ცხადყოფს ბრძოლის სიმწვავეს: ორი ვარჯიშის შემდეგ ქალთა შორის ლიდერობდა ს. მურატოვა, ხოლო მას კვალდაკვალ მისდევდა ლ. ლატინინა. სავალდებულო ვარჯიშების დამთავრების შემდეგ კი ჰირველ ადგილზე აღმოჩნდა ე. ვოლჩეკაია (38,966 ქულა), მეორეზე— თ. მანინა (მასაც ქულათა ასეთივე რაოდენობა აქვს, ოღონდ— მეტი ცდის შემდეგ). ს. მურატოვამ მესამე ადგილზე გადაინაცვლა (38,933), ხოლო ლ. ლატინინამ... მეექვსეზეც კი!

ყველა იარაღზე თანაბრად გამოვიდა ქართველი გოგონა ა. ჯანუყაშვილი. მას 37.833 ქულა აქვს და XII ადგილზე იმყოფება. მ. ნინოშვილს კი, პირიქით, მაღალი მაჩვენებლების გვერდით ჰქონდა სამწუხარო ჩავარდნებიც (ორძელსა და დვირზე, სადაც მას მეორე ცდის გამოყენების უფლება დაჭირდა). 37,665 ქულით მ. ნინოშვილი ჯერ მხოლოდ XIII ადგილზეა.

დღეს, გვიან ღამით დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მრავალჭიდში. მძაფრი ბრძოლა გაიმართა ლიდერთა შორის უკანასკნელ იარაღზე — ტაიგზე. საპატიო სპორტულ ნადავლს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბ. შახლინი, ვ. ლეონტიევი და ვ. ლისიცკი. 11 იარაღის შემდეგ ლისიცკი მეტოქეებზე 0,15 ქულით იყო წინ. ტაიგზე მან და შახლინმა ერთნაირი შეფასება მიიღეს — 9,7, ხოლო ლეონტიევმა — 9,6.

ამრიგად, თასი მოიპოვა ვ. ლისიცკიმ — 115,95.

შეჯიბრება გრძელდება.

ლ. სირგილაძე



ვ. შჩოგოლევის მაღლობა

მოსკოვი, 6 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს იტალიიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ასაჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი და ექს-ჩემპიონი ი. კუპერმანი. კორესპონდენტებთან საუბარში დიდი ოლიმპიური ტურნირის გმირმა განაცხადა:

— იტალიის აგარაკი მერანო პატარა დასახლებაა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ჩვენც მალე გაგვიცნეს და ქუჩაში ისე გვხვდებოდნენ, როგორც ძველ მეგობრებს. მერანოელთა გულთბილი ყურადღება ყველა მოშაშეს დიდ კმაყოფილებას გვრიდა.

ვფიქრობ, ჩემი წარმატება განაპირობა კარგმა სტარტმა. აღებული ტემპისთვის შემდეგაც არ დამიკლია, რასაც ენერგიის დიდი დაძაბვით ვაღწევდი.

ტურნირის მანძილზე უამრავ გამამხნევებელ დეპეშასა და წერილს ვღებულობდი, რომელთა ნაკადმა ბოლოს კიდევ უფრო იმატა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს ყველა კეთილმსურველს გულწრფელი მადლობა გადავუხადო.

საქართველოს პირველობა ქალთაგურთში

ეს უდისციპლინობაა და არა მხარდაჭერა

ბათუმი, 6 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ბათუმელმა გულშემატკივრებმა ქალათბურთელთა რესპუბლიკური პირველობისადმი დაუცხრომელი ინტერესი გამოიჩინეს. ბენეფრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი საქუთარი გუნდისადმი იჩენდნენ. ტურნირის პირველ დღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, აჭარელი ქალათბურთელების „აქციები" საგრძნობლად აიწია. გაიზარდა მაყურებელთა აქტიურობაც, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ფავორიტების — თბილისის უნივერსიტეტისა და მასპინძელთა გუნდების შეხვედრას.

აჭარის ნაკრების კაპიტანმა ი. მაჭავარიანმა ჩემპიონატის პირველსავე დღეს დაბეჯითებით განაცხადა: თუ ჩვენი გუნდი ანგარიშს ვაივლანს — გამარჯვება ყოველთვის უზრუნველყოფილი გვექნება. წინა შეხვედრებში ასეც მოხდა. აჭარის ქალათბურთელებმა უნივერსიტეტელებთან გადამწყვეტ მატჩშიც სცადეს ამ „ტრადიციის" დაცვა, მაგრამ... მე-3 წუთზე მასპინძლები წინ არიან: 8:2, 19:10. ასე გაგრძელდა მე-15 წუთამდე. შემდეგ კი უნივერსიტეტის კალათბურთელებმა მრიხანე შტურმი წამოიწყეს და ქობაჩიშვილმა, ხაჭაპურიძემ და წერეთელმა ზუსტი ტყორცნებით გაათანაბრეს ანგარიში. რამდენიმე წუთიც, და წინ უკვე სტუდენტები არიან. შესვენებაზე სადემონსტრაციო დაფაზეა 34:27 უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

და სწორედ აქ იჩინა თავი გულშემატკივართა ზედმეტმა „პატრიოტულ მ ა გრძნობებმა". ზოგიერთ მაყურებელს მოეჩვენა, რომ მატჩის არბიტრები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. დარახველიძე „ცუდად" ერკვევიან თამაშის წესებში, რომ ჩემპიონატის ბოთავარ არბიტრს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ლ. ფალავანდიშვილს „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი" ყოველი ღონე იხმაროს აჭარის გუნდის დასამარცხებლად. მაყურებელთა ამ მცდარ შეხედულებას ბიძგი მისცა ზოგიერთი „ავტორიტეტული პირის" (სამუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი, ყოფილი კალათბურთელი და სხვ., რომელთა ვინაობის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა) უხეშმა ჩარევამ მსაჯთა კოლეგიის საქმიანობაში, რის გამოც შეხვედრის მეორე ნახევარი 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ თვით აჭარის გუნდის წევრებმა ყველაფერი იღონეს, რათა თამაში ნორმალურ ფარგლებში ჩატარებულიყო.

... მატჩის მეორე ნახევარი უნივერსიტეტის კალათბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და შეხვედრა მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 79:69.

უნივერსიტეტის გუნდს ჩასატარებელი დარჩა შეხვედრა ფიზკულტურის ინსტიტუტთან, მაგრამ ეს თამაში ცუდი ამინდის გამო თბილისში გადაიტანეს. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის კალათბურთელებმა გაინაღდეს რესპუბლიკის ჩემპიონობა.

ვაჟთა გუნდს არც უნივერსიტეტის ქალთა ნაკრები ჩამორჩა, რომელმაც ქუთაისელ კალათბურთელებთან დამაჯერებელი ანგარიშით (51:28) გამარჯვების შემდეგ შეინარჩუნა საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება.

ნ. ფოფხაძე

* * *

სურათზე: აჭარის ნაკრებისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

ჩვენი ოლიმპიელები

წინ ტოკიოა და გამარჯვებების წყურვილი

— მაგ ბიჭისგან კარგი მოჭიდავე დადგება. ხუთი კაცის შესაკრავი ღონე აქვს, თანაც მარდია და ბრაზიანი.

— მამა მაგისიც ასეთი იყო ახალგაზრდობაში. რეზო საღარაძე კლასიკურს რომ ჭიდაობდა, არ გახსოვს? რკინის მკლავები ჰქონდა და ტახის ჯანი.

—ჰოდა, როგორც ჩანს, კვიცი გვარზე ხტის. უნდა ავიყვანო სექციაში, — თქვა შალვა ნოზაძემ და უბის წიგნაკში ჩაინიშნა გურამ საღარაძის გვარი.

ეს მოხდა 1956 წელს. გურამი მაშინ 17 წლისა იყო. საშუალო სკოლა წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული და ახლა სპორტშიც ხურდა ეცადა ბედი. მეგობრებმა საჭიდაო დარბაზში წასვლა ურჩიეს, მაგრამ სხვისი თქმა რად უნდოდა, როდესაც ადრე თავად მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი — მამის გზას გაყოლოდა.

გასაოცარი სიბეჯითით და მონდომებით შეუდგა ჭიდაობის ანბანის შესწავლას. სწორედ აქ, სადაც მომავალი სპორტული ოსტატობის საფუძვლები იყრება, გურამი საკუთარი თავის მიმართ არაჩვეულებრივად მომთხოვნი აღმოჩნდა. არაფერს იზარებდა, მწვრთნელის ყოველ შენიშვნას უყოყმანოდ ასრულებდა, თვითონაც ბევრს ფიქრობდა...

სპორტსმენის ფსიქიკაზე ღრმა და წარუშლელ კვალს ტოვებს პირველი მარცხი. ვინ იცის, რამდენ ნიჭიერ მოჭიდავეს გაუტეხა გული სიფთაზე წარუმატებლობამ და რამდენმა საერთოდ თავი მიანება სპორტს. დიდი სარბიელი არადროს არ ყოფილა სულმოკლეთა ხვედრი. ეს იცოდა გურამმა და რადგან იგი საღად აზროვნებდა, ისწავლა წარუმატებლობათა კრიტიკულად ათვისება. თუმცა...

მის სპორტულ ცხოვრებაში წარმატება უფრო ჭარბად იყო.

ჭაბუკთა საქალაქო პირველობაზე — I ადგილი, რესპუბლიკური ჩემპიონატი — კვლავ გამარჯვება! ეს იყო გურამის სპორტული ბიოგრაფიის პირველი ფურცლები. ცოტა მოგვიანებით ჭაბუკი მოჭიდავის წარმატებებმა უფრო სოლიდური ხასიათი მიიღო. იგი სსრ კავშირის მოზარდთა ტურნირის პრიზიორი გახდა, შემდეგ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს და, ბოლოს, „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი.

ძალა უკვე აღმართს ხნავდა. გურამ საღარაძეს მწვანე გზა გაეხსნა დიდ სარბიელზე და მისი „შეჩერება“ უკვე შეუძლებელი გახდა. 1959 წელს ახალგაზრდა მოჭიდავემ ოსტატის წოდება დაიმსახურა და მტკიცედ ჩადგა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფალავანთა ავანგარდში.

... გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და გურამ საღარაძემ მსოფლიო ჩემპიონის სიმაღლიდან გადმოხედა თავისი სპორტული ცხოვრების განვლილ დღეებს, გადმოხედა და ალბათ პირველად „მწარედ“ გაიღიმა.

რა ჰქონდა საფიქრებელი ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს? წლები ჯერ წინ იყო. მკლავი და გული ერთნაირად უჭრიდა. ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა კი ჭალამნად. და ალბათ სწორედ ამიტომ განიცდიდა იგი იმ ანეგდოტურ ფაქტს, რომ მსოფლიოში პირველ ნომრად აღიარებული ფალავანი ჯერ კიდევ ვერ გამხდარიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

სპორტში ზოგჯერ ასეთი ლაფსუსებიც ხდება და რადგან იგი სინამდვილე იყო, გურამმა ამ უკანასკნელი ბასტიონის აღება გადაწყვიტა.

ბრძოლის ველი — ბაქო. მეტოქენი — ავტორიტეტული ჯგუფი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონებისა და პრიზიორთა შემადგენლობით.

პირველი ბრძოლა ფავორიტმა სარეკორდო დროში — 55 წამში მოიგო. მეორე შეხვედრაც ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორთან სიომკინთან (აკტიუბინსკი) გურამის დამაჯერებელი უპირატესობით დაგვირგვინდა. კიდევ ორმა გამარჯვებამ თანამემამულეებთან (ცხოვრებოვთან და ასლამაზიშვილთან) იგი სანუკვარი მიზნის პირისპირ დააყენა: დარჩა ფინალი და ორი ყველაზე პასუხსაგები ბრძოლა. მათი შედეგი დღეს ყველასთვის ცნობილია — ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონს ნებიერიძეს გურამმა 6 წუთში მოუგო, ხოლო მინსკელ აკსიონოვს — დამაჯერებელი უპირატესობით.

აღფრთოვანებით შეხვდა ბაქოს მაყურებელი გურამის ოქროს მედალს. გულმართალმა და თავმდაბალმა ვაჟკაცმა აისრულა გულის წადილი, საზრუნავი კი მაინც არ მოაკლდა. წინ ტოკიოა და ახალი, დიდი გამარჯვების წყურვილი.

ნ. გუგუშვილი

• • •

სურათზე: გურამ საღარაძის ბრძოლის მომენტი ბაქოს სარბიელზე.



როგორც ცნობილია, ამას წინათ ტულის ტრეკზე გაიმართა საბჭოთა ველოსიპედისტების შეჯიბრება „დიდი ქიმიის“ პრიზზე. ეს იყო საბჭოთა ოლიმპიელების ძალთა თავისებური გენერალური რეპეტიცია.

სურათზე: თბილისელი ო. ფხაკაძე, რომელმაც მოიპოვა ერთ-ერთი ძირითადი პრიზი — ტულის სამოვარი.

ფოტო პ. მასლოვისა (საკდესი).

გუგდიდელები — პირველნი

ა. კრაინენკო — ოთხგზის ჩემპიონი

თბილისის დელისის იპოდრომზე 3 დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში ჭაბუკთა შორის. მასში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, გალის, გუდაუთის, გულრიფშისა და ჩოხატაურის ჭაბუკი მხედრები.

შეჯიბრების პირველ დღეს საინტერესოდ წარიმართა ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“. საჯარიმო ქულების გარეშე ამ სახეობაში გაიმარჯვა ზუგდიდელმა ა. კრაინენკომ (ცხენი „ნაპორი“). ორჭიდის პირველ სახეობაში „სამანეჟო სვლაში“ ყველას აჯობა თბილისელმა ი. ივანოვსკიმ (ცხენი „ელინგი“). ამ დღის უკანასკნელი სახეობა იყო სადა დოღი 2 კილომეტრზე, სადაც გამარჯვება წილად ხვდა ზუგდიდელ ლ. აბშილავას (ცხენი „რური“).

ასპარეზობის მეორე დღეს ა. კრაინენკომ ორჭიდის მეორე სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში მაღალი ოსტატობა გამოავლინა და ორი სახეობის ჯამში—ორჭიდში პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს არ იყო ა. კრაინენკოს უკანასკნელი წარმატება. მან დაბრკოლებათა გადალახვაში „ამერიკული პარკური“ უშეცდომოდ გაიარა დისტანცია და დროშიც ჩაეტია, რამაც მას ამ შეჯიბრებაზე მესამედ მოუტანა გამარჯვება. დაბრკოლებათა გადალახვაში „სამონადირეო პარკური“ უძლიერესი იყო გულრიფშელი ნ. უგრეხელიძე (ცხენი „მასივი“).

პირველობის დასკვნით, მესამე დღეს გაიმართა შეჯიბრებები დაბრკოლებათა გადალახვაში „რთული კლასი“ და „ამორჩევით“, აგრეთვე 6-კილომეტრიანი მარუა. დაბრკოლებათა გადალახვაში „რთული კლასი“ პირველობდა ა. კრაინენკო, რომელიც ამ შეჯიბრებაზე მეოთხედ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. „ამორჩევით“ დაბრკოლებათა გადალახვაში პირველობა არავის დაუთმო გალელმა ჩ. ქეცბაიამ (ცხენი „ისტოკი“). 6 კილომეტრზე მარუაში თავიდანვე დაწინაურდა ლ. აბშილავა, რომელიც პირველი იყო ფინიშზეც.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა ზუგდიდის გუნდმა. მეორეზე არიან გულრიფშელი მხედრები. თბილისელი სპორტსმენები მესამე ადგილზე დარჩნენ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაში, რომელიც აგვისტოს დასაწყისში კოსტრომაში ჩატარდება.

ნ. სიჭინავა

სტარტზე არიან მძღოლები

საავტომობილო ტრანსპორტის მკვეთრი ზრდა ჩვენში მოითხოვს პროფესიული მძღოლების შემდგომ დაოსტატებას. ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს საავტომობილო სპორტული შეჯიბრებანი. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ამ დღეებში გორში პირველად მოაწყო არმიის, ავიაციისა და ფლოტის ნებაყოფლობითი ხელშეწყობი საზოგადოების ადგილობრივმა ავტო-მოტოსკოლამ (უფროსი — ს. ჯინჯიხაშვილი). გაიმართა მსუბუქი ავტომობილების ტურნირი ფიგურულ მოძრაობაში. ასპარეზობის სტარტზე, რომელმაც მაყურებელთა დაუცხრომელი ინტერესი გამოიწვია, გამოვიდა 50-ზე მეტი მანქანა.

ბევრმა მძღოლმა გამოავლინა მანქანის ფიგურული მართვისა და სწრაფი ორიენტირების უნარი.

I ადგილი დაიკავა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა გ. არაბაშვილმა, რომელმაც „ვოლგით“ 106 წამში გადალახა ყველა დაბრკოლება და არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. „გორვაჭრობის“ თანამშრომელმა ს. ასლანოვმა ყველაზე მცირე დროში (85 წამი) გაიარა დაბრკოლებანი, მაგრამ 38 საჯარიმო ქულა მიიღო და II ადგილით დაკმაყოფილდა. კარგი შედეგები ჰქონდათ სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს გ. თრიაქაძეს, სპორტის ოსტატს სამბოში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში ა. ბაბერაშვილს და მე-7 სკოლის დირექტორს ა. ნათენაძეს.

ავტო-მოტოსკოლას განზრახული აქვს მორიგი ღონისძიება ჩაატაროს მიმდინარე თვეში მსუბუქი მანქანებით ფიგურულ მოძრაობასა და სატვირთო მანქანებით ბენზინის მოჭირნეობით ხარჯვაში.

ი. თევდორაშვილი
(ჩვენი კორ.).

გორი.

ველირსებით თუ არა სტადიონს?



წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვრის ახალგაზრდები სამი წელია მოკლებული ვართ ყოველგვარ ფიზკულტურულ ღონისძიებას, რადგან აღარ გაგვაჩნია ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ფეხბურთის მინდორი გადახნეს, სიმინდი დათესეს, ჩვენთვის სამაგიერო ფართობის გამოყოფისთვის კი არავის შეუწუხებია თავი.

მივმართეთ ჯვრის სადაბო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, მაგრამ პასუხი საკმაოდ ცივი და უგულისყური აღმოჩნდა — „მიწის ფონდი არ გაგვაჩნიაო“; მივმართეთ კომკავშირისა და სპორტკავშირის ხელმძღვანელებს და... კვლავ უშედეგოდ.

დაბა ჯვარს კი ასობით სპორტის მოყვარული ახალგაზრდა, ათასობით მუშა ჰყავს. ეკუთვნით თუ არა მათ კეთილმოწყობილი სტადიონი? დაკმაყოფილდნენ თუ არა ისინი ყბადაღებული, სასაცილო მოტივით, რომ დაბას რაღაც უმნიშვნელო ფართობი არა აქვს იმისათვის, რომ მისი ახალგაზრდობა ჯანმრთელი, გაკაჟებული იყოს?

კ. ხუბუტია

დაბა ჯვარი,
წალენჯიხის რაიონი.

ტურნირს ამაოდ არ ჩაუვლია

ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად იმართება მოსწავლეთა და მოზრდილთა საკავშირო პირველობანი მძღოლობაში. ძალაუნებურად იქმნებოდა „ფანჯარა“ — იუნიორები მოკლებული იყვნენ ძალთა გამოცდის საშუალებას. ეს სარვეზი შეავსო მძღოლობის საკავშირო ფედერაციის წინადადებით სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ: წელს, 14-16 აგვისტოს, პირველად გაიმართება (რიგაში) იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი.

ზემოაღნიშნულ ასპარეზობაში წარმატებით მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. ამ დღეებში კი თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა იუნიორთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. სტარტზე თავი მოიყარა 7 გუნდის (თბილისი, ქუთაისი, აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ფოთი და თელავი) 103-მა სპორტსმენმა.

მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი მარჭაფი მთელ თავის შესაძლებლობას გამოაელვდა. სამწუხაროდ, სპორტსმენთა უმეტესობამ არც თუ სახარბიელო შედეგები აჩვენა. მართალია, ჭაბუკთა შორის ბირთვის კვრაში I თანრიგის შედეგით (15,63 მ) გაიმარჯვა თბილისელმა მ. ოყროშიძემ, მაგრამ ესეც საკმაოდ შორსაა მისი საუკეთესო მაჩვენებლებიდან.

იგივე შეიძლება ითქვას 100 მ რბენაში გამარჯვებული თბილისელი ა. ანტონოვის (10,8), სიმაღლეზე მხტომელი ოსტატების — თბილისელი ი. არშბასა (190 სმ) და ქუთაისელი ი. ჩირიკაშვილის (180 სმ) შესახებ.

დაბალი იყო ქალიშვილთა შედეგები. თუ ჭაბუკები 5 პირველი და 32 მეორე თანრიგის მაჩვენებლებს მაინც შეწვდნენ, ქალიშვილები მხოლოდ 7 მეორე თანრიგის შედეგით დაკმაყოფილდნენ. მათ შორის მთელ რიგ სახეობებში გამარჯვებულებმაც კი ვერ შეძლეს თუნდაც მესამე თანრიგის შესრულება. მაგალითად, 400 და 600 მ რბენაში ქუთაისელი ლ. მოსკვინას, 100 მ თარჯრბენში ი. ავსაჯანიშვილის (თბილისი) შედეგები მეტად დაბალია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში სექტორზე გამოდიოდა მხოლოდ 2-3 სპორტსმენი.

არათანაბარი იყო გუნდების ძალთა შეფარდებაც. თბილისის კოლექტივს, რომელმაც 26.269 ქულა მოაგროვა, ოდნავი მეტოქეობაც ვერ გაუწია ვერავინ. მეორე ადგილზე გამოსული ქუთაისის გუნდი გამარჯვებულს 18 ათასზე მეტი ქულით ჩამორჩა.

ტურნირმა მაინც დატოვა დადებითი კვალი, ერძოდ, ცხადყო, რომ საქართველოს იუნიორებს, თუ ისინი ნაყოფიერად გამოიყენებენ დიდ სტარტამდე დარჩენილ დროს, უნარი შეწევთ რამდენიმე საპრიზო ადგილის მოპოვებისა საკავშირო შეჯიბრებაზე.

ო. გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბული ბრძოლების ორი დღე

მოსკოვი, 6 ივლისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). რომის ოლიმპიადაზე 13-მა ისეთმა მძლეოსანმა მოიპოვა ოქროს მედლები, რომლებმაც მანამდე, მოსკოვში, ძმები ს. და გ. ზნამენსკეების მემორიალზე ისახელეს თავი. ეს ამბავი მაშინ საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ზნამენსკეების გუშინ დამთავრებულმა მემორიალმა ამიტომ მიიზიდა სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი არმია. ბევრი იმედოვნებდა, რომ სწორედ მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე „დაიბედებდა“ თავისთვის ტოკიოში გამარჯვებას.

ასპარეზობის სტარტზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ.

სიმაღლეზე მხტომელთა შორის არ იყო ვ. ბრუმელი და ბევრი ვარაუდობდა, რომ ეს ამბავი მწვანე გზას გაუსნიდა ახალგაზრდებს. მაგრამ რომის ოლიმპიადის ჩემპიონის რ. შავლაყაძის გამოცდილებამ გამარჯვების სასწორი მის მხარეს გადახარა. მან პირველივე ცდით დაძლია 205 სანტიმეტრი, მერე — 210 და გაიმარჯვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ახალგაზრდა ა. ხრამკისაც (უკრაინა), მაგრამ 205 სანტიმეტრის დაძლევას მან სამი ცდა შეალია, რის გამო მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

თავი არ შეურცხვენია ათჰიდელ ი. დიაჩკოვდუმბაძესაც. პირველი დღის შემდეგ იგი 4.044 ქულით III ადგილზე იყო. ტურნირის მეორე დღეს იგი შედარებით სუსტად გამოვიდა, მაგრამ, 7.069 ქულით მაინც შეინარჩუნა ეს საპრიზო ადგილი. პირველი იყო მ. სტოროჟენკო—7511 ქულა.

და მაინც, მემორიალზე დამსწრეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძირითადი პრიზების გათამაშება — 1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე გამარჯვებულთათვის. გუშინწინ, 5.000 მ რბენაში პირველი პრიზის გათამაშებას ტონი მისცა ინგლისელმა მ. უიგსმა. იგი დიდხანს ლიდერობდა, მაგრამ, როცა ფინიშამდე სულ 600 მეტრი იყო დარჩენილი, წინ გავიდა ლიტველი კ. ორენტასი, (მწვრთნელი ვ. ბარკალაია), რომელმაც გაიმარჯვა კიდეც — 13.45,0. ინგლისელი ჩამორჩა 0,6 წამით. ორენტასმა გაუმჯობესა მემორიალის რეკორდი (13.50,2), რომელიც ფრანგ მ. ჟაზის ეკუთვნოდა და სამშობლოში დაუბრუნა პრიზი.

მეორე დღეს გათამაშდა დანარჩენი ორი ძირითადი პრიზი. 1.500 მეტრზე მისი შარშანდელი მფლობელი — ჩეხოსლოვაკელი ტ. სელინგერი ამჯერადაც გამოვიდა ბილიკზე, დისტანციის უკანასკნელ მონაკვეთზე გაასწრო ვ. სავინკოვს (სსრკ), აჩვენა 3.42,8 და ჯილდოც შეინარჩუნა.

10.000 მეტრი! ეს იყო ძალთა ნამდვილი გამოცდა. ლიდერს — პ. ბოლოტნიკოვს 22 წრეზე ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ნ. დუტოვი. მსოფლიო ექს-რეკორდსმენმა ახალგაზრდა კონკურენტს რამდენჯერმე შეთავაზა წინ წასვლა, მაგრამ მეტოქე მიუხვდა ტაქტიკურ მანევრს. ფინიშამდე 1 კილომეტრით ადრე ნ. დუტოვი მძლავრი ბიძგით გაიჭრა წინ და პრიზიც დაისაკუთრა — 28,59,6.

კვლავ ისახელეს თავი დებმა თ. და ი. პრესებმა: თამარმა — ბადროს ტყორცნაში — 58,38 მ (მემორიალის რეკორდი), ირინემ — ხუთჰიდში — 4.946 ქულა.

საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო ამანათრბენში 4×100 მ (ვაჟები — 40,0, ქალები — 45,3), 110 მ თარჯრბენში — ა. მიხაილოვი — 13,9, სიგრძეზე ხტომაში — ლ. ბარკოვსკი — 787 სმ და სხვ., მაგრამ ვალში არც ჩვენი სტუმრები დარჩენილან. პოლონელი ი. სიდლოს ნატყორცნი შუბი 85,03 მეტრზე დაეცა (მემორიალის რეკორდი), კუბელმა მძლეოსანმა ქალმა მ. კობიანმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად 200-მეტრიან დისტანციაზე — 23,7 წამი.

ორი დღის განმავლობაში შეჯიბრება გაიმართა პროგრამის 36 სახეობაში, გამოვლინდა 36 უძლიერესი. თუ ვინ გაიმეორებს წარმატებას ოლიმპიურ თამაშებზე, ამას ცხადყოფს ტოკიოს სტარტები.

სურათზე: ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული, მსოფლიო რეკორდსმენი ტ. შჩელკანოვა.

სსრ კავშირის პირველობა

„ქ“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 ივლისისათვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“ (დონეცკი)	12	6	5	1	16—5 =+	11	17
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	12	7	2	3	16—4 =+	12	16
„დინამო“ (კიევი)	13	5	6	2	17—11=+	6	16
სკა (როსტოვი)	12	7	1	4	19—8 =+	11	15
„ტორპედო“ (მოსკოვი)	11	6	3	2	19—10=+	9	15
„დინამო“ (თბილისი)	12	6	3	3	16—10=+	6	15
ცსკა	11	4	5	2	9—8 =+	1	13
„ვოლგა“ (გორკი)	13	4	5	4	8—15=—	7	13
„დინამო“ (მინსკი)	11	4	4	3	7—6 =+	1	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	13	3	6	4	5—10=—	5	12
„კაირატი“ (ალმა-ატა)	14	3	5	6	11—15=—	4	11
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	13	3	5	5	8—14=—	6	11
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	13	4	2	7	7—14=—	7	10
„დინამო“ (მოსკოვი)	10	3	3	4	12—10=+	2	9
„ტორპედო“ (ქუთაისი)	12	3	2	7	6—18=—	12	8
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	11	2	2	7	10—18=—	8	6
„შინიკი“ (იაროსლავლი)	11	1	3	7	7—17=—	10	5

• • •

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სკა 0:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:4, „დინამო“ (მინსკი) — „კაირატი“ (ალმა-ატა) 1:0, „დინამო“ (კიევი) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 4:1, „ვოლგა“ (გორკი) — სკა (როსტოვი) — 0:4.

„ბ“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მეორე ჯგუფი, II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 7 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სკა (ოდესა)	15	8	6	1	18—7 =+	11	22
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	15	7	5	3	21—11=+	10	19
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	15	8	2	5	15—11=+	4	18
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	15	6	5	4	17—10=+	7	17
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	15	4	7	4	11—9 =+	2	15
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	4	7	4	13—13 =	0	15
„კარპატი“ (ლვოვი)	15	6	3	6	19—19 =	0	15
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	14	5	5	4	15—19 =—4		15
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	15	5	4	6	13—15 =—2		14
„ალგა“ (ფრუნზე)	16	5	4	7	17—24 =—7		14
„დინამო“ (ტალინი)	15	3	7	5	13—14 =—1		13
„არარატი“ (ერევანი)	15	3	7	5	9—11 =—2		13
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	15	4	3	8	12—19 =—7		11
„სპარტაკი“ (გომელი)	15	2	5	8	6—17 =—11		9

ფუტბოლის მინდვრიდან

რაც ტელევიზორში ჩანდა...

ბაქო. „ნეფტიანიკის“ სტადიონი. 6 ივლისი.

„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

„დინამო“: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი.

„ნეფტიანიკი“: შეხოვი, ჯალილოვი, ახუნდოვი, ბრუხტი (გოლოდეცი), ჭანჭალეიშვილი, ტროფიმოვი, ალესკეროვი, ტუაევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, გაჯიევი.

მსაჯი ბ. კაზაკოვი (მოსკოვი).

პირველი, რითაც გვინდა დავიწყოთ გუშინდელი მატჩის ანგარიში, ეს ისაა, რომ ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა მადლობით უნდა მოიხსენიონ თბილისისა და ბაქოს ტელევიზიის მუშაკები, რომლებმაც ასეთ ვრცელ და დაინტერესებულ აუდიტორიას საშუალება მისცეს უშუალო მოწმენი ყოფილიყვნენ ამ ორი ქალაქის გუნდების თამაშისა. ხილვადობა ნორმალური იყო, ყოველ შემთხვევაში, მაყურებელს არ გაჰორჩენია მატჩის არც ერთი დეტალი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ჩვენ საშუალება მოგვეცემა ვიხილოთ თამაშების ტრანსლაცია მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან...

გუშინ თბილისელებმა ძალზე მნიშვნელოვანი 2 ქულა აიღეს ბაქოში. მართალია, პირველ ტაიმში „დინამოს“ არ გამოუვიდა თამაში და ბაქოელებმა მეტი აქტიურობისა და ენერგიის წყალობით მიაღწიეს საერთო ინიციატივას.

მეორე ტაიმში დინამოელებმა შეძლეს სადაავეების ხელში აღება. ეტყობოდა, რომ გუნდმა მეტი მოიხდომა, მთელი ძალები ჩააქსოვა თამაშში და დამსახურებულად მოიგო კიდეც იგი — 1:0. ეს ბურთი საჯარიმო დარტყმიდან (დაახლოებით 25 მეტრიდან) გაიტანა მეტრეველმა მე-14 წუთზე. გუნდი დარჩენილ დროშიც თამამად მოქმედებდა.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს ბაქოელებმა — 1:0.

ა. კიკნაძე

„ფლამენგო“ — სსრ კავშირში

ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიული საკლუბო გუნდი — „ფლამენგო“.

5 ივლისს ბრაზილიელები ვოლგოგრადში შეხვდნენ რსფსრ-ს ნაკრებს. მან გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი 75-ე წუთზე გაიტანა ანანამ.

კიდევ 4 მატჩი

„ბ“ კლასის IV ზონის მორიგი ტურის მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 5:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ლერონოგორცი“ (კაფანი) 3:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:1, „შრომითი რეზერვები“ (კავმინვოდი) — „შირაქი“ (ლენინაკანი) 0:0.

„ბ“ ჯგუფი

„დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ბაქო) 2:0

სოხუმი, 6 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა დინამოელებმა საკუთარ მინდორზე მიიღეს ბაქოს თანაკლუბელთა გუნდი.

მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. ისინი თამაშობდნენ ყურადღებით, სწრაფი კომბინაციებით და გუნდის თავდამსხმელმა ფიფიამ პირველ ტაიმში შეძლო ერთ-ერთი იერიშის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინება — 1:0.

სოხუმელები აღმავლობით თამაშობდნენ მესვენების შემდეგაც. მეორე გოლი ბაქოელთა კარში გაგზავნა ნახევარმცველმა სიჭინავამ.

„დინამო“ (ბათუმი)— „დინამო“ (მახაჩყალა) 4:0

ბათუმი, 6 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). მასპინძელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა პირველივე წუთებიდან, მაგრამ ანგარიშის გახსნამდე საკმაო დრომ განვლო. კომბინაცია მაჭარაძე — ურუშაძე—დანელია 35-ე წუთზე დამთავრდა ძლიერი დარტყმით — 1:0.

გაცილებით ეფექტურად მოქმედებდა ლიდერი მეორე ტაიმში. მას შემდეგ, რაც ფუტკარაძემ რამაშვილის მოწოდებიდან მეორე ბურთი გაიტანა, მასპინძელთა გამარჯვება რეალობად იქცა. მახაჩყალელთა კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. დარჩენილ დროში ბათუმელთა მარჯვენა გარემარბმა ქვლივიძემ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა.

„მეტალურგი“ (რუსთავი) —„დინამო“ (კიროვაბადი) 2:1

რუსთავი, 6 ივლისი (ტელეფონით ჩვენი კორ.). მინდორზე თავიდანვე გაჩაღდა საინტერესო, დაძაბული ბრძოლა და მის შემდგომ მსვლელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სწორედ დასაწყისმა. სწრაფი კომბინაცია მინდვრის სიღრმეში წამოიწყო ანთიძემ. მან ბურთი გადასცა ვართანოვს, რომელმაც კარგ პოზიციაში გაიყვანა ხაბეიშვილი და ანგარიში გაიხსნა.

დინამოელებმა მძლავრი კონტრიერიში განავითარეს და 25-ე წუთზე სალახოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. ამ პერიოდში რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო „მეტალურგის“ მეკარე ადამოვმა. ტაიმის ბოლო წუთებში მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ვაშაკიძემ საჯარიმო დარტყმიდან კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

„ტორპედო“ ძალებს იკრებს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)—„უნია“ (ქ. რაციბუჟი, პოლონეთი) 4:0 (2:0).

„უნია“: ვისიოლეკი, ფინკი, კლიმაშკა, ჰიბნერი-I, კაჰელი, კშიელი, ელინი, ლაცარი, ურბახი, შიჰალსკი, ჰიბნერი-II.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე (ისიანი), ნიშნიანიძე, ოდიკაძე, სარჯველაძე, სიამაშვილი, ავალიანი, ჩხარტიშვილი, სირაძე, მუმლაძე, ხერხაძე.

მსაჯი ბ. ბობროვი (ვორონეჟი).

ქუთაისელმა სპორტის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს პოლონელ ფეხბურთელებთან საერთაშორისო შეხვედრის მიმართ. ასეთი მატჩები თავისთავად საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ ტორპედოელთა გულშემატკივრები ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ თავიანთი გუნდისადმი. ცნობილია, რომ „ტორპედო“ ჯერ კიდევ სახიფათო ზონაში იმყოფება, მაგრამ კიშინიოვში ამას წინათ მოპოვებული გამარჯვება უფლებას გვაძლევს გარკვეული ოპტიმიზმით შევხედოთ მომავალს.

მართლაც, დამსახურებული მწვრთნელის ა. ჟორდანიას მეთაურობით ტორპედოელები ძალებს იკრებენ. კერძოდ, გუნდმა საუკეთესო თამაში აჩვენა „უნიასთან“, რომელიც თავისი ქვეყნის ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში IX ადგილზე გამოვიდა.

„ტორპედოში“ ახლა გაცილებით უკეთ ჩანს კოლექტივიზმი და რგოლთა გააზრებული ურთიერთმოქმედება. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ორივე გარემარბი — ავალიანი და ხერხაძე, აგრეთვე მეკარე კვასხვაძე.

მატჩის თავშივე ნათელი გახდა, რომ „უნია“ თამაშობს ნელ ტემპში, ბურთის დინჯი გათამაშებით. ქუთაისელებმა უმალვე გამოიყენეს მეტოქის ეს სისუსტე და მაქსიმალური ტემპი განავითარეს. 24-ე წუთზე ხერხაძე სწრაფად გავიდა ორ მცველს შუა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. 1 წუთის შემდეგ ხერხაძემ კვლავ წამოიწყო იერიში, გადასცა ბურთი ავალიანს, ამ უკანასკნელმა — ჩხარტიშვილს და... პოლონელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

მეორე ნახევრის მე-9 წუთზე ჩხარტიშვილმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ავალიანი, რომელმაც მესამე ბურთი გაიტანა.

პოლონელთათვის მატჩი ფაქტიურად წაგებული იყო, მაგრამ „უნია“ თავგამოდებით იბრძოდა. და მაინც მის კარში გატანილ იქნა კიდევ ერთი გოლი: ეს სირაძემ გადაუგდო ბურთი კარიდან გამოსულ ვისიოლეკს — 4:0.

ლ. ფაჩუაშვილი

სურათზე: ა. ავალიანი გარღვევაზე გადის მეტოქე მცველთან ბრძოლაში.

ფოტო ავტორისა.



კომკავშირელი ვ. ზავალნიუკი (ზაპოროჟიე) გატაცებით ეუფლება საიალქნო სპორტს. იგი პირველთანრიგოსანია და ემზადება რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის.
სურათზე: ვ. ზავალნიუკი ვარჯიშზე.
ფოტო ა. კრასოვსკისა (საკდესი).

უკანასკნელ საათს!

◆ **ლონდონი**, 6 ივლისი. „უემბლის“ სტადიონზე წარმატებულად გამოვიდნენ საბჭოთა მოტოციკლისტები, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის მატჩში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 74:35 ანგარიშით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ქულა (16) მოაგროვა უფროსმა სპორტსმენმა ი. პლეხანოვმა.

◆ **ციხოვიცი** (გდრ), 6 ივლისი. აქ გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავ შედეგებს მიაღწია ახალგაზრდა მოსკოველმა ვ. ეგოროვმა. მან სამივე თანრიგში გაიმარჯვა.

▲ **ბუდაპეშტი.** აქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ფრენბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა დინამოელმა ქალებმა ყველა თამაში მოიგეს და მოიპოვეს I ადგილი, „დინამოს“ ვაჟთა გუნდმა კი მხოლოდ III საპრიზო ადგილი დაიკავა. I ადგილი ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდამ“ მოიპოვა, ხოლო მეორეზე გამოვიდნენ მასპინძლები.

▲ **უიმბლდონში** დამთავრდა ჩოგბურთელთა ასპარეზობა. ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი ავსტრალიელი. როი ემერსონმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა თავის თანამემამულესთან — ფრედ სტოლესთან (6:4, 12:10, 4:6, 6:4) და უძლიერესი ჩოგბურთელის სახელი მოიპოვა. ქალბუკთა ფინალში გავიდა საბჭოთა სპორტსმენი ვ. კოროტკოვი. მან მეოთხედფინალში დაამარცხა ძლიერი მეტოქე — ბელგიელი პ. ჰომბერგერი — 7:5, 8:6, ხოლო ნახევარფინალში — რ. ბაუტასტუ (ტაილანდი) — 6:2, 6:3. მაგრამ ფინალში მან არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელთან ი. ბელ-შაფესთან წააგო ანგარიშით 2:6, 2:6, 3:6 და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ქალთა ერთეულების ფინალში ბრაზილიელმა მ. ბუენომ დაამარცხა ავსტრალიელი მ. სმიტი — 6:4, 7:9, 6:3.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ, ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ, ᲐᲖᲘᲐᲡ, ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ...

წყვილთა ფინალები ასე წარიმართა: ვაჟებში სტოლე—ბ. ხიუიტის და ემერსონ—კ. ფლეტჩერის (ყველანი — ავსტრალიიდან) წყვილთა შორის შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდათ სტოლესა და ხიუიტს — 7:5, 11:9, 6:4. შერეულ წყვილებში პირველობისთვის კვლავ მხოლოდ ავსტრალიელები იბრძოდნენ. სტოლემ და ლ. ტერნერმა მ. უგეს ფლეტჩერსა და სმიტს — 6:4, 6:4. ქალთა შორის ავსტრალიელთა წყვილმა (სმიტ—ტერნერმა) დაჯაბნა ამერიკელთა „დუეტი“ — ბ. მოფიტი და კ. სუსმენი—7:5, 6:2.

▲ **ნიუ-იორკი.** აშშ-ის მძლეოსანთა ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების დაწყებით ტურში რენდელ-აილენდის სტადიონ „დაუნინგზე“ მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა რ. ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 837 სანტიმეტრი, რაც საბჭოთა მძლეოსნის ი. ტერ-ოვანესიანის მსოფლიო რეკორდზე 6 სანტიმეტრით უმჯობესია. მაგრამ ამერიკელის შედეგი არ დამტკიცდება, რადგან შეჯიბრებისას ქროდა ძლიერი ზურგქარი (3 მ წამში).

„ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲙᲐᲠᲓᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ მძლეოსნების ძალთა გენერალური შემოწმება მოხდა ამ ქვეყნის მორიგ ჩემპიონატზე. იგი 27-28 ივნისს გაიმართა ნიუ-ბრანსვიკის ახალ სტადიონზე. შეჯიბრებისადმი დიდი ინტერესი იმით აიხსნებოდა, რომ პირველ და მეორე ადგილებზე გამოსული სპორტსმენები შედიოდნენ აშშ-ის ნაკრებში, რომელმაც მორიგი VI მატჩი უნდა ჩაატაროს საბჭოთა მძლეოსნებთან („გიგანტთა“ ეს შეხვედრა 25-26 ივლისს მოეწყობა ლოს-ანჟელოსში). გარდა ამისა, პროგრამის ცალკეულ სახეობებში ექვს უძლიერესს უფლება ეძლეოდა შემდეგში მონაწილეობა მიეღო შერჩევით შეჯიბრებაში, რომლის შედეგების მიხედვით საბოლოოდ დადგინდება ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრები.

ლოს-ანჟელოსსა და ტოკიოში წასვლის პერსპექტივებმა განაპირობა ცხარე ბრძოლები; დამყარებულ იქნა აშშ-ის 9 რეკორდი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აშშ-ის ნაკრების მწვრთნელმა ს. ბელმა განაცხადა: „ჩემპიონატზე არ გაუმჯობესებულა მსოფლიოს არც ერთი რეკორდი, მაგრამ ნაჩვენები შედეგების სიმჭიდროვე ცხადყოფს, რომ ამერიკელთა გუნდი ისე ძლიერია, როგორც არადროს“.

ამერიკული გაზეთების სპორტულ მიმომხილველთა უმეტესობა აღნიშნავს სპრინტში ნაჩვენები შედეგების დაბალ დონეს. სპორტულ წრეებში შეშფოთებული არიან იმითაც, რომ აშშ-ის საუკეთესო სპრინტერს რ. ჰეიეს კუნთი დაეჭიმა და კაცმა არ იცის, როდის განაგრძობს იგი წვრთნას.

კითხვაზე, — რაში მდგომარეობს ამერიკელთა სისუსტე, — ბელმა უპასუხა: „შუბის ტყორცნასა და 10.000 მეტრზე რბენაში“. მისი აზრით, ნიუ-ბრანსვიკში ნაჩვენები შედეგებიდან საუკეთესოა ჭოკით მხტომელ ჰ. ჰანზენის (517 სანტიმეტრი) და 1.500 მ რბენაში ტ. ოჰარას (3.38,1) მაჩვენებლები. ამერიკის მძლეოსანთა ზედამხედველი დიდ იმედებს ამყარებს სიმაღლეზე მხტომელებზე — ჯ. რემბოსა და ე. კარუზერსზე (მათ 216 სმ დაძლიეს).

მაღალი, მკვრივი აგებულების ახალგაზრდა ზანგი ჯ. რემბო სწრაფად აუმჯობესებს შედეგებს და იმედოვნებს, რომ ლოს-ანჟელოსში 224 სმ გადალახავს.

სამაგიეროდ, სიმაღლეზე ხტომაში ს. ბელი უდავო უპირატესობას მაინც ბრუმელს ანიჭებს.

მწვრთნელებისა და სპორტულ კომენტატორთა უმეტესობა თვლის, რომ აშშ-ის რეკორდსმენ ჯ. თომასისა და მსოფლიო რეკორდსმენ ვ. ბრუმელის ორთაბრძოლა, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა, ისტორიის საკუთრებად იქცა. ბრუმელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. თომასმა ვერ შეძლო საფუძვლიანად აცილებოდა 216 სანტიმეტრს. ეს სიმაღლე მან ნიუ-ბრანსვიკში ძლივს დაძლია და III ადგილი დაიკავა.

ამერიკის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ბ. შიულის მაჩვენებელს 5.000 მ რბენაში (13,58,2). ამასთან დაკავშირებით, მიმომხილველები წერენ, რომ საბჭოთა და ამერიკელთა გუნდებში ხდება ძალთა თავისებური გადაჯგუფება. რამდენადაც საბჭოთა სპრინტერები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ამერიკელთა მაჩვენებლებს, იმდენად ამერიკელებმა კურსი აიღეს სტაიერულ დისტანციებზე შედეგების ზრდისკენ.

ამერიკის ნაკრების ვეტერანის — რ. ბოსტონის შედეგს (811 სმ) აღგილმბრივი მწვრთნელები განიხილავენ, როგორც შესანიშნავ განაცხადს მსოფლიო რეკორდსმენ ი. ტერ-ოვანესიანთან შეხვედრის წინ. კითხვაზე, თუ რომელი გაიმარჯვებს ამ ორიდან ლოს-ანჟელოსში, ბელმა არ უპასუხა. მან თქვა: „მხოლოდ ერთი ცხადია. ბრძოლა იქნება დაძაბული, შედეგები — მჭიდრო და მაღალი. მატჩი კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ დამოკიდებულებას ამ ორ ქვეყანას შორის“.

რას იზამ, არ შეიძლება ამაზე არ დავეთანხმოთ!

ვ. კოპიტინი,
სპორტის ოსტატი.

* * *

აი, ამერიკელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც შეხვდება საბჭოთა გუნდს „გიგანტთა“ მატჩში (შედეგები ნაჩვენებია ნიუ-ბრანსვიკში):

რბენა: 100 მ — რ. ჰეიესი (10,3), ჩ. გრინი (10,4); 200 მ— ჰ. კარი (20,6), ჰ. დრეიტონი (20,6); 400 მ— მ. ლარაბი (46,0), ა. კესელი (46,3); 800 მ — დ. ზიბეოტი (1.47.5), დ. მიტჩელი (1.47,6); 1.500 მ — ტ. ოჰარა (3.38,1), დ. ბარლესონი (3.38,8); 5.000 მ — ბ. შიული (13.56,2), დ. ლინდგრენი (13.58,6); 10.000 მ — ჰ. მაკარდი, დ. გუტკნეჰტი, დ. ლინდგრენი, ჯ. მორფი; 3.000 მ წინაღობებით — ჯ. ფიშბეკი (8.43,6), ჯ. იანგი (8.49,4); 110 მ თარჯრბენი — ჰ. ჯონსი (13,8), ბ. ლინდგრენი (13,9); 400 მ თარჯრბენი — ბ. ჰარდინი (50,1), ჯ. ლაკი (50,2); **ბირთვის კვრა** — ჯ. ლონგი (19,32), რ. მეტსონი (19,78); **ბადრო** — ე. ორტერი (61,30), ბ. სილვესტრი (58,06); **ურო** — ჰ. კონოლი (69,03), ე. ბურკე (65,80); **შუბი** — ფ. კოველი (77,29), ჯ. სიკორსკი (75,62), **ხტომა**: სიგრძეზე რ. ბოსტონი (811), შ. მეისი (797); სიმაღლეზე — ჯ. რემბო (216), ე. კარუზერსი (216); სამმაგი — ბ. შარფი (15,81), მეორე კანდიდატი არაა; ჭოკით — ფ. ჰანზენი (517), დ. ტორკი (508), **სპორტული სიარული** — კანდიდატები შესარჩევია. **ათჭიდი** — პ. ჰერმენი (7.794), ჯ. ჯეიზი (7.768).

ამანათრბენში გუნდები მოგვიანებით დაკომპლექტდება.



ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის გაცხოველებით ემზადება მსოფლიო რეკორდსმენი იაპონელი ძალოსანი ი. მიაკე. სურათზე თქვენ ხედავთ ი. მიაკეს ერთ-ერთი ვარჯიშის დროს.

ფოტო კიოდო-ხაკდესისა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ⲙ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲦᲘᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ამზადებს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს სპორტის სახეობათა მიხედვით. **დასწრებულ ფაკულტეტზე სწავლების ვადა 4 წელია, საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე — 5 წელი. განცხადება ინსტიტუტში შესვლის შესახებ მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით).** იგი შემოტანილი უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე **ფაკულტეტისა და სპეციალობის ჩვენებით.** განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. **დახასიათება-რეკომენდაცია ინსტიტუტში შესვლისთვის,** რომელიც გაიცემა უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი) პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ (კოლმეურნეთათვის). მოსწავლეთათვის დახასიათება-რეკომენდაციას იძლევიან სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
2. **საშუალო განათლების საბუთი (დედანი);**
3. **ავტობიოგრაფია;**
4. **ოთხი ფოტოსურათი** (ზომა 3 X 4 სმ);
5. **მშთ ნორმატივის I საფეხურის ჩაბარების ცნობა;**
6. **საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის ამორჩეულ სახეობაში;**
7. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან,** დამოწმებული წარმოება-დაწესებულების მიერ, ხოლო **კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნიდან,** დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც მითითებული უნდა იქნას მოხსენებულ კოლმეურნეობაში შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ცალ-ცალკე უკანასკნელ ორ წელს, ინსტიტუტში შემოსვლამდე.

შენიშვნა: ინსტიტუტში ჩარიცხულნი, რომელთაც აქვთ მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი, ვალდებული არიან მეცადინეობის დაწყებიდან ორ კვირაში წარმოადგინონ შრომის წიგნაკი.

8. სკოლის ექიმის ან რაიონული პოლიკლინიკის საუბნო ექიმის მიერ შევსებული **სამედიცინო მოწმობა** (ფორმა №286).
9. საღამოსა და დაუსწრებელ ფაკულტეტებზე შემსვლელნი წარმოადგენენ **ცნობას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილებიდან.**

შემსვლელმა **პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი** (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა) **ან მიწერითი ცნობა** (გასაწვევი ასაკის პირებმა).

ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲔᲑᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ 1-ᲓᲐᲜ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲔᲑᲨᲘ:

ა) **ფიზიკა** (ზეპირი).
ბ) **ქიმია** (ზეპირი).
გ). **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა) — **რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის:**
დ). **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა) — **ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის;**
ე). **სპორტული მომზადება (სპორტის ამორჩეული სახეობა, აგრეთვე მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა).**

მისაღები გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით, დადგენილი წესის მიხედვით.

სათანადო ცნობების მიღება შეიძლება მისაღები გამოცდების სამდივნოში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. **ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, **ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ** — თბილისი, „ლელო“. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.